პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 144 (13229) | კვირა, 20 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

გუშინ, 19 ივნისს, თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ

დეპუტატებმა ერთხმად მოიწონეს დადგენილებები რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის. სკკპ პროგრამით დასახული ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოთ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე.

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზულ გეგმას.

საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მიღწეულია დიდი წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის განუხრელი ზრუნვის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, რომელიც მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს მოსახლეობის მომსახურების საქმეს.

აღსანიშნავია, რომ გასული ორნახევარი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი, დაინერგა მომსახურების მრავალი ახალი სახეობა და ფორმა, გაიზარდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა, ამაღლდა მომსახურების კულტურა.

1964 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საშუშაოთა მოცულობა რესპუბლიკაში 1962 წელთან შედარებით გაიზარდა 29 პროცენტით.

აშენდა და რეკონსტრუირებულ იქნა საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი რიგი მსხვილი ობიექტები: ტანსაცმლის ქიმიური წმენდის და ღებვის საწარმოები, ავტო-სამრეცხაოები, ავტოპროფილაქტორიუმები და სხვ.

ქალაქ თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ტანსაცმლის ქიმიური წმენდის და ღებვის ფაბრიკა, ავეჯისა და ფეხსაცმლის შემკეთებელი ფაბრიკები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით.

ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და ღებვის ფაბრიკები აშენდა აგრეთვე ქუთაისსა და სოხუმში. ამ ფაბრიკების მიმღები პუნქტების ქსელს საშუალება აქვს მოემსახუროს არა მარტო აღნიშნულ ქალაქებს, არამედ მეზობელი რაიონების მოსახლეობასაც.

შეიქმნა კეთილმომსახურების ბიურობი, რომლებიც მოსახლეობას უწევენ სხვადასხვა სახის მომსახურებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. განსაკუთრებით დაბალია სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონე. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები ადგილზე ჯერ-ჯერობით ყურადღებას არ აქცევენ სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას და ხშირად უზრუნველობას იჩენენ.

რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, არ იღებენ საკმაო ზომებს მოსახლეობის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილებისათვის, ხუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს.

მიუხედავად იმისა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი ჯერ კიდევ არასაკმარისია, ფაბრიკების, პავილიონების, ატელიეებისა და სხვა საწარმოთა მშენებლობის დაწესებული გეგმები წლითიწლობით არ სრულდება. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ნაკლებად ზრუნავენ მშენებლობის პროცესში მყოფ საცხოვრებელ სახლებსა და სხვა თავისუფალ შენობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის საწარმო ფართობის გამოსაყოფად.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასული წლის გეგმის გადაკარბებით შესრულების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი მნიშვნელოვანი სახეობანი, როგორიც არის თეთრეულის რეცხვა, ტანსაცმლის ქიმიური წმენდა და შეღებვა, მოსახლეობის სახლიდან ბინების შეკეთება, საოჯახო ნივთების გაქირავება და სხვ.

ამასთან ერთად დაბალია მომსახურების კულტურა, ადგილი აქვს მომხმარებელთა დაკვეთების დაგვიანებით და უხარისხოდ შესრულების და დაკვეთების გაუფორმებლად მიღების შემთხვევებს, გამოვლინებულია ფუფლადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცების ფაქტები. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის ცუდი ორგანიზაცია, მიმღები პუნქტების და საწარმოების სიმცირე აიძულებს მოსახლეობას მომსახურებისათვის მიმართოს კერძო პირებს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად წარმოებს მუშაობა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების სპეციალიზაციისა და გამსხვილების, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, არსებულ მოწყობილობათა უფრო სრული გამოყენებისა და ზომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში; ქალაქებსა და, განსაკუთრებით, სოფლებში იგრძნობა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კადრების აღზრდისა და შერჩევის საქმეს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დავალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებანი და მიიღონ გადამჭრელი ზომები. რათა უახლოეს წლებში დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა სახეობაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

ა) უზრუნველყონ 1965 წლის გეგმით გათვალისწინებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობის, ამ დარგის ობიექტების მშენებლობისა და მათი ქსელის გაფართოების დავალებათა შესრულება; რესპუბლიკის ქალაქებში წვრილი სახელოსნოების გამსხვილების გზით შექმნან სპეციალიზებული და შექანიზებული ფაბრიკები და სახელოსნოები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით, ხოლო რაიონულ ცენტრებში გააფართოონ პავილიონები, მოძრავი სახელოსნოები და მიმღები პუნქტები სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის იმ მიზნით, რომ უახლოეს წლებში არც ერთი სოფელი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ დარჩეს მომსახურების გარეშე;

ბ) გააუმჯობესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაგეგმვა მომსახურების სახეობათა მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო საჭირო სახეობათა და ფორმათა უპირველესი განვითარება.

მიიღონ ზომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დასაჩქარებლად იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც განსაკუთრებით დაბალია მომსახურების დონე.

კიდევ უფრო გააფართოონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და საოჯახო ნივთების შეკეთება დამკვეთის თანდასწრებით, ამ სახეობის მომსახურება უშუალოდ საწარმოებში, საერთო საცხოვრებლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში;

გ) განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების თვითღირებულების შესამცირებლად. საპრეისკურანტო ფასების მოსაწესრიგებლად და საწარმოთა რენტაბელობის ასამაღლებლად;

მიაღწონ იმას, რომ გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი და შემცირდეს დაკვეთების შესრულების ვადები;

დ) არ დაუშვან გადაცემა და სხვა მიზნებისათვის გამოყენება იმ შენობებისა, რომლებიც საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს უჭირავთ, ანდა აშენებულია ამ დანიშნულებისათვის.

3. დავალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებისა და პუნქტებისათვის შესაფერისი სათავსების გამოყოფა ყველა საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე ამბარებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების სრული ათვისება.

4. მოწონებულ იქნას რესპუბლიკის თმელ რიგ რაიონებში დამკვიდრებული პრაქტიკა ეკონომიურად ძლიერი კოლმეურნეობების ინიციატივით და მათივე სახსრებით საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის შესახებ.

5. დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოსაპოვებლად. მომსახურების კულტურის ასამაღლებლად, ხარისხის გასაუმჯობესებლად, პრაქტიკაში შემოღონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშგება მშრომელთა კრებებზე საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

8. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა და მათმა მუდმივმა კომისიებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაძლიერონ კონტროლი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საქმიანობისადმი. მიიღონ ზომები მკაცრი სახელმწიფოებრივი და ფინანსური დისციპლინის დასაცავად და დარღვევათა და ბოროტმქმედებათა თავიდან ასაცილებლად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად, გაითვალისწინოს საცხოვრებელ სახლებსა და სხვა შენობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განლაგება.

10 დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს:

ა) შექმნას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების შემადგენლობაში სამშენებლო-სარემონტო უბნები;

ბ) უზრუნველყოს ქვითრებითა და სამუშაო ფურცლებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მომარაგება და მიიღოს ზომები მოსახლეობის შეკვეთების გაფორმებელი შესრულების შემთხვევების აღსაკვეთად;

გ) შეიმუშაოს ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

დ) გააძლიეროს კონტროლი ფუფლადი და მატერიალური სახსრების ეკონომიურად ხარჯვისადმი, აღკვეთოს უნაყოფო ხარჯები და დანაკარგები წარმოებაში;

ე) მიიღოს ქმედითი ზომები გაფლანგვა-დატაცების შემთხვევების აღკვეთისათვის.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) გითვალისწინოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმაში საყოფაცხოვრებო მომსახურების მსხვილი, ტექნიკურად აღჭურვილი საწარმოების მშენებლობა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების მიზნობრივი დანიშნულების საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა;

ბ) განიხილოს საკითხი ყველა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს გამგებლობაში თავმოყრის შესახებ.

■ ■ ■

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები ყოველდღიური დახმარებითა და ხელშეწყობით ყველა ღონისძიებას განახორციელებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების დიდ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი, 1965 წლის 18 ივნისი.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შესახებ

19 ივნისს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მესამე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დავალი.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. ბ. ბელბასარის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. მ. ხომიზურაშვილის საანგარიშო მოხსენებანი ამ კომისიების საქმიანობის შესახებ.

მოხსენებების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ფ. ს. ჯანჯღავა (ქდანოვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), შ. ბ. ძეშუბერია (ფოქვეშის საარჩევნო ოლქი, ონამირის რაიონი), ლ. ბ. ხარაძიანი (მესტიის საარჩევნო ოლქი, მესტიის რაიონი), დ. ა. მამისაშვილი (ველისციხის საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), ბ. ა. რიფაძე (ხულოს საარჩევნო ოლქი, ხულოს რაიონი), ბ. ა. ცერცვაძე (შავშეთის საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი).

ორატორებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, წლითიწლობით იზრდება ასიგნებანი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის, ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი, დიდი ყურადღება ეთმობა კვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებას. ფართო მასშტაბით ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ამასთანავე სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც: ყველა სამკურნალო დაწესებულება როდი დაკომპლექტებული საექიმო პერსონალით, განსაკუთრებით სოფლად, საავადმყოფოებში არ ყოფნით საწოლები, ყოველთვის ჯერ-ჯერობით სიმაღლეზე როდია სამედიცინო მომსახურება.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვასა და მათი შრომისუნარიანობის გადიდებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფიზკულტურა და სპორტი. სპორტსმენთა რიგები წლითიწლობით იზრდება, ფიზკულტურულ მუშაობაში ებმება მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები. ორატორებმა დასახეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

ორატორები თავიანთ გამოსვლებში შეეხნენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს. აღინიშნა, რომ პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების. გზაზე დიდი ნაბიჯი იყო კოლმეურნეობის წევრთა პენსიით უზრუნველყოფის კანონი, რომელმაც ხელი შეუწყო სოფლის მშრომელთა საწარმოო აქტივობის შემდგომ ზრდას.

ორატორთა გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სოფლის მეურნეობის საკითხებს. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა. დამზადების დაგეგმვის პრინციპულად ახალი წესი, რომელშიც ჰარმონიულად შეხამებულია სარეთო-სახელმწიფოებრივი და შიდასამეურნეო ინტერესები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვნად გადიდება და სხვა ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია ახორციელებს, შექმნიან იმის პირობებს, რომ მკვეთრად გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად დაუჭერა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა. დეპუტატებმა ილაპარაკეს იმ დიდ შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომელიც ამ დღეებში სუფევს მინდვრებსა და პლანტაციებში, სოფლის მშრომელებზე, რომლებიც მზად არიან წარმატებით განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, შეეხნენ საკითხებს, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფისა და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ“.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას, რომლებიც სესიებს შუა პერიოდში იყო მიღებული. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაშაძემ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც მეოთხე და მეხუთე სესიებს შუა პერიოდში იყო მიღებული, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ე. ა. შეშარდნაძე დანიშნულია საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად და დებულების თანახმად ვედარ დარჩება სამანდატო კომისიის შემადგენლობაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დავალმა თქვა, რომ საჭიროა ცვლილებათა შეტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის შემადგენლობაში.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ვ. ი. ნინოშვილს. უხუცესთა საბჭოს დავალებით მას წინადადება შემოაქვს გაათავისუფლონ დეპუტატი ე. ა. შეშარდნაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ხოლო დეპუტატი ვ. ს. მეგრელიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის წევრის მოვალეობისაგან. დეპუტატი ვ. ს. მეგრელიშვილი არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარედ.

სესიის დღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია დახურულად ცხადდება. (საქდესი).

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების ანგარიშები, აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ხსენებულმა კომისიებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

მუდმივი კომისიები თავიანთ მუშაობას წარმართავენ წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით, ცალკეული საკითხების შესწავლაში ფართოდ ებმენ დეპუტატებს, აქტივს, რესპუბლიკის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს.

კომისიებს მჭიდრო კავშირი აქვთ სამინისტროებთან, უწყებებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და საბჭოების მუდმივ კომისიებთან.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა კომისიებმა შეისწავლეს და განიხილეს მთელი რიგი აქტუალური საკითხები. ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად კომისიის წევრების, სამედიცინო დარგის სპეციალისტების და ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით შეისწავლა და განიხილა ქ. თბილისში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების, რესპუბლიკაში ქალთა სამედიცინო მომსახურების, რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში ქალთა შრომის პირობების, ქ. თბილისში საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის, რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის საკითხები, რომლებიც კომისიაზე განხილვის შემდეგ შეტანილ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

ამავე კომისიამ გამსვლელი სხდომა გამართა ქ. რუსთავში. სადაც განიხილა რუსთავის სანიტარული მდგომარეობის და მშრომელთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი, რომლის განხილვაში, გარდა კომისიის წევრებისა, მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საბჭოს აღმასკომის წევრებმა, დეპუტატებმა, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოების და საწარმოთა წარმომადგენლებმა.

რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობისათვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თაოსნობით პერიოდულად ეწყობა სამედიცინო დარგის გამოჩენილ სპეციალისტთაგან შემდგარი ბრიგადების მივლინება. აღნიშნულ ღონისძიებას მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით ხვდება.

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა და განიხილა ისეთი საკითხები, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის მდგომარეობა სიღნაღის, ზესტაფონისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებში. ვენახების მოვლა-დამუშავების მდგომარეობა გურჯაანის, თელავისა და ზესტაფონის რაიონებში. ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის მდგომარეობა გორის, ახალციხის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ბუნების დაცვის კანონის შესრულების მდგომარეობა რესპუბლიკაში და სხვ. საკითხების ნაწილი, რომლებზეც კომისიას ჰქონდა მსჯელობა, განსახილველად დაყენებულ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო დანარჩენი უშუალოდ გადაეცა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ზომების მისაღებად. მუდმივი კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებებს გარკვეული შედეგი მოჰყვა.

მუდმივი კომისიები თვალყურს ადევნებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების, საქართველოს სსრ კანონების, უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებების განხორციელების მდგომარეობას, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებას.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ დებულებით მათთვის მინიჭებულ იმ უფლებას, რომ კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის სამინისტროების და უწყებების, აგრეთვე ადგილობრივი ორგანოების მუშაობას. კომისიების ყველა წევრი აქტიურად არ მონაწილეობს საკითხების შესწავლა-განხილვაში. კომისიები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ იმ პირების მიმართ, ვინც დროულად არ ასრულებს უმაღლესი საბჭოს დადგენილებებს, კომისიების რეკომენდაციებს და ამომრჩეველთა განაწესებს. ჯერ კიდევ სუსტია ამ კომისიების კავშირი ადგილობრივი საბჭოების შესაბამის კომისიებთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების საქმიანობა.

2. ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მთავარ ამოცანად მიჩნეულ იქნას ზრუნვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. ამ მიზნით კომისიამ სისტემატურად იქონიოს ყურადღების ცენტრში რესპუბლიკაში სამედიცინო და სამავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოების, სამედიცინო კადრების მომზადებისა და აღზრდის, სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და სანიტარული წესრიგის დაცვის საკითხები. პერიოდულად შეისწავლოს, როგორ სრულდება კანონი პენსიებით მშრომელთა უზრუნველყოფის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას.

3. სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. ამ მიზნით კომისიამ თავისი წევრებისა და ფართო აქტივის მონაწილეობით პერიოდულად შეისწავლოს, როგორ სრულდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. პარტიისა და მთავრობის სადირექტივო მითითებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმეს.

4. დავალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუდმივი კომისიების მიერ დაყენებული საკითხებისა და რეკომენდაციების დროულად განხილვასა და გადაწყვეტას.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა:

ა) განამტკიცონ კავშირი რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან, მათს ადგილობრივ ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან და შესაბამის მუდმივ კომისიებთან. ფართოდ ჩაბან ეს ორგანოები თავიანთ საქმიანობაში, მონაწილეობა მიაღებინონ მათ საკითხების შესწავლა-განხილვაში;

ბ) სრულყოფილად გამოიყენონ დებულებით მათთვის მინიჭებული ის უფლება, რომ კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, ამასთან აქტიურად დაეხმარონ ამ ორგანოებს საქართველოს სსრ კანონთა და სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა განხორციელებაში.

6. დავალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სისტემატიური დახმარება გაუწიოს უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მუშაობაში. უზრუნველყოს, რომ მუდმივმა კომისიებმა პერიოდულად ანგარიში ჩააბარონ უმაღლესი საბჭოს სესიას და მოსახლეობას. მუდმივი კომისიების მუშაობის გამოცდილების განზოგადებისათვის ფართოდ გამოიყენონ რესპუბლიკური და ადგილობრივი გ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 22-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 3 ივნისის ბრძანებულება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 22-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

მუხლი 22. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შედგება: ზნაურის, ლენინგორის, ცხინვალის, ჯავის რაიონებისაგან და ქალაქ ცხინვალისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პერეული პროდუქტების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლის სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური კომერციანების — „სასოფლტექნიკის“ თავმჯდომარე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 1 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გაორდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე მუხლში სიტყვები: „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისა“ შეიცვალოს სიტყვებით: „სოფლის მეურნეობისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ამოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება „ამოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა კერადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულება „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე, 273-ე და 275-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე, 273-ე და 275-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 1 მარტის ბრძანებულება „ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბინების აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 მარტის ბრძანებულება „რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბინების აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **იდგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1965 წლის 9 თებერვლის — ამხ. ოთარ ვასილის-ძე თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1965 წლის 1 მარტის — ამხ. მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჭილიას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1965 წლის 17 მარტის — ამხ. ვახტანგ დავითის-ძე კუპრავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1965 წლის 24 აპრილის — ამხ. მიხეილ მახვას-ძე ნარსიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ;

1965 წლის 21 მაისის — ამხ. ედუარდ ალბერტის-ძე შევარდნაძის საქართველოს სსრ სახოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1965 წლის 9 თებერვლის — ამხ. თენგიზ პაველ-ძე ბუაჩიძის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1965 წლის 9 თებერვლის — ამხ. ოთარ დანიელის-ძე ქინქლაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1965 წლის 1 მარტის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1965 წლის 21 მაისის — ამხ. ოთარ ალექსანდრეს-ძე ქავთარაძის საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ვ. ს. ლუკოვკინის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ვლადიმერ სერგის-ძე ლუკოვკინი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამბრეკაკაკასიის რკინიგზის კახეთის ელექტროფიცირებული უბნის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასა და ექსპლოატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ამაშუკელი** ეკგენი ივანეს-ძე — თბილისის სამშენებლო უბნის უფროსი.
2. **ბურჯანაძე** ოთარ ეარლამის-ძე — ენერგომომარაგების თბილისის უბნის უფროსი.
3. **გაცოლაევი** ახსარბეკ ბათარბეკის-ძე — თბილისის განყოფილების ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსი.
4. **დემეტრაშვილი** დავით ალექსანდრეს-ძე — № 9 საგზაო-სარემონტო მექანიკური ქარხნის საამქროს უფროსი.
5. **დემჩენკო** იური ალექსანდრეს-ძე — საგზაო საპროექტო კანტორის ჯგუფის ხელმძღვანელი.
6. **თომაძე** ვიეი ვასილის-ძე — საგზაო საპროექტო კანტორის უფროსი ინჟინერი.
7. **ლეკიშვილი** დავითი ვასილის-ძე — გურჯაანის დისტანციის გზის ოსტატი.
8. **მაკარაშვილი** პაველ ზნოვის-ძე — თბილისის ელეტრომექნიკური ქარხნის უფროსი.
9. **ფლენტი** აკაკი სეევერიანის-ძე — თბილისის სამშენებლო უბნის უფროსი სამუშაოთამწარმოებელი.
10. **სამაშვილი** ილია სერგოს-ძე — სადგურ გურჯაანის უფროსი.
11. **სლუშაი** ვიქტორ ივანეს-ძე — № 259 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის სამუშაოთა მწარმოებელი.
12. **ტერ-სტეფანიანი** ლევან სტეფანეს-ძე — თბილისის სამშენებლო უბნის მთავარი ინჟინერი.
13. **ტურაშვილი** არჩილ ივანეს-ძე — № 381 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მუშა.
14. **შენგელია** დავით ბესარიონის-ძე — თბილისის განყოფილების დისპეტჩერი.
15. **ჩეხოევი** ზაური ილარიონის-ძე — ენერგომომარაგების თბილისის უბნის მონტიორი.
16. **ჯიბლაძე** ეკგენი გალაქტიონის-ძე — ენერგომომარაგების თბილისის უბნის უფროსი ელექტრომექანიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი. 1965 წლის 19 ივნისი.

კამათი რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ანგარიშებისა და თანამოხსენებების გამო

დეპუტატ ო. აბესაძის

სიტყვა

ქალაქ წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებმა, ამბობს დეპუტატი, მშრომელთა მომსახურების გასული წლის დავალება 117,7 პროცენტით შეასრულეს. ასევე გადაჭარბებით შესრულდა მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა.

ამ ბოლო დროს წყალტუბოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სადაც მუშაობს ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახეროები, ტანსაცმლის სამკერვალო, ფეხსაცმლის, რადიოსა და ტელევიზორების, ელექტროსაყოფაცხოვრებო ნივთების სარემონტო და სხვა სახელოსნოები.

მაგრამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას, განსაკუთრებით რაიონის სოფლებში. ბევრ სოფელში არ არის მოწყობილი სახელოსნო, ამასთანავე ბევრი სახელოსნო მოთავსებულია სხვადასხვა ორგანიზაციის შენობაში ან საცხოვრებელ სახლში, რაც ხელს უშლის მომსახურების კულტურის ამაღლებას.

ცნობილია, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება შეუძლებელია, თუ არ გადაწყდა მომსახურების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი, კერძოდ, საჭიროა ინსტრუქციებით, მასალებით, ნედლეულით და სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმე. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება.

დეპუტატ ნ. წილოსანის

სიტყვა

თანამედროვე სოფლის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილება, ამბობს დეპუტატი, ბევრად აღემატება იმ მოთხოვნილებათა დონეს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. ახლა სოფლის მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ, რომ ყველგან გვქონდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კეთილმოწყობილი ობიექტები, გამართულად მუშაობდნენ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მიწდვრის მშრომელები მარაგდებოდნენ ცხელი კერძებით, იყოს კეთილმოწყობილი გზები, ქუჩები, რაიონსა და სოფლის ცენტრები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ლანჩხუთის რაიონში.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, განაგრძობს ორატორი, რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში კვლავ არის მნიშვნელოვანი ხარვეზები ნაკლოვანებანი, რომლებიც იწვევენ მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას. მაგალითად — ვერ მოგვარდა მეჩაიე ქალთა სპეციალური ტანსაცმელთან უხრუნველყოფის საკითხი, რომელიც დაიცავს მათ წვიმისა და სიცივისაგან. საჭიროა სათანადო ორგანიზმებმა დააკმაყოფილონ მეჩაიეთა მრავალი თხოვნა და დაამზადონ სრულყოფილი საწვიმარი ტანსაცმელი, რომელიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ქალთა შრომის პირობებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ სახელოსნოთა სადამეროები საჭირო რაოდენობით არ მარაგდებიან მასალებითა და მოწყობილობით.

დეპუტატ ვ. ბ. ბაგინიანის

სიტყვა

ბორჯომი ერთ-ერთი ადგილია, სადაც ბევრ ადამიანს ეძინა, ისვენებდა, ეკურნალა. ბორჯომელ ადამიანებს ეს ბევრ ადგილზე ეკეთებოდა. ეს ადგილი ბორჯომელ ადამიანებს ეკუთვნ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია



სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სხდომათა დარბაზში (მარჯვნიდან) დეპუტატები: შოთა ფირცხალავა (თბილისი), ზაურ რუსია (თბილისი), იოსები ხაზარაძე (ქუთაისი).

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის

დეპუტატ პ. გელბახიანის საანგარიშო მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ყოველწლიურად უმჯობესდება რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობას ამჟამად ემსახურება 3.459 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, აქედან 582 სტაციონარი (მათ შორის 224 ქალაქად და 358 სოფლად), 1.341 ამბულატორია-პოლიკლინიკა, 105 დისპანსერი, 25 სამეცნიერო-საკვლევი პროფილური ინსტიტუტი.

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას უმაღლესი განათლების მქონე 14 ათასამდე სპეციალისტი და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე 33 ათასამდე მუშაკი. ამ მხრივ საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

უკანასკნელ წლებში ამენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი საკავშირო-პროფილაქტიკური დაწესებულება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ქობულეთში, გურჯაანში, თელავში, გორში, ლაგოდეხში, ლენინგორში, წითელწყაროში და სხვ. მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ავადმყოფობა და სიკვდილიანობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რესპუბლიკის საავადმყოფოებში არსებული საწოლთა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას სტაციონარული მკურნალობის დარგში. სულ რესპუბლიკის საავადმყოფოებში ჯანმთელობის სამინისტროს ხაზით 34.776 საწოლია, ყოველ 10.000 სულ მოსახლეზე საშუალოდ 77 — ეს კი საერთო-საკავშირო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესდეს მოსახლეობისადმი სტაციონარული კვალიფიციური სამედიცინო დახმარება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, და მნიშვნელოვნად ამაღლდეს სამკურნალო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ერთ მხრივ ხელს შეუწყობს პროფილაქტიკისა და მკურნალობის სწორ ორგანიზაციას.

ამ საქმეში ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად დიდი როლი აკისრიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ 1963 წლის აპრილიდან, ე. ი. ღღიდან მისი არჩევისა, გარკვეული მუშაობა გასწია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. კომისიამ ცნობილი მეცნიერებისა და პედიატრების დახმარებით შეისწავლა ამ მხრივ თბილისში არსებული მდგომარეობა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო დახმარების პირობები და სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურება.

უკანასკნელ წლებში შემცირდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, გაუმჯობესდა ახალშობილთა დროულად აყვანა აღრიცხვაზე და ერთ წლამდე ასაკის ბავშვებზე მუდმივი მეთვალყურეობა.

მკვეთრად შემცირდა დაავადება დიფთერიით, პოლიომიელიტითა და ბავშვთა სხვა ინფექციური დაავადებებით.

მიუხედავად ამისა ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია.

არადამაკმაყოფილებლად ჩორციელდება ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ღონისძიებები. ძალიან ცოდად არის დაყენებული ერთ წლამდე ასაკის ავადმყოფ ბავშვთა ჰოსპიტალიზაცია, რესპუბლიკაში საკმარისი არ არის ბავშვთა საავადმყოფო საწოლების რაოდენობა.

ცუდად მარაგდება ბავშვთა დაწესებულებები აუცილებელი კლინიკურ-დიაგნოსტიკური აპარატურით, სამკურნალო პრეპარატებით და მედიკამენტებით, რბილი და მაგარი ინვენტარით. არასრულყოფილად ხორცელდება ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა პატრონაჟი და დისპანსერული მომსახურება.

მოუწესრიგებელია მდგომარეობა ჩვილ ბავშვთა კვების საქმეშიც. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში იშვიათად შევხვდებით სარძეო სამზარეულოებს, რის გამო ბავშვთა კონტინგენტი ძირითადად მოკლებულია შესაფერის კვებითს ფიზიოლოგიურ და სამკურნალო ნარევებს.

არასაკმარისია სანიტარული განათლების ხაზით განხორციელებული ღონისძიებანი. ამ საქმეში სუსტად არის გამოყენებული პრესა, რადიო და ტელევიზია.

ჩვენი კვეყნის წარმატებებში დიდია საბჭოთა ქალის როლი კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამიტომ შეთხზეევითი არ არის, რომ მუდმივმა კომისიამ აქტივის ფართო მონაწილეობით შეისწავლა საქართველოს რესპუბლიკაში ქალთა სამედიცინო მომსახურება ისეთ საწარმოებში, სადაც ქალთა შრომა უფრო მეტად არის გამოყენებული. ასეთი საწარმოებია: გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატი, თბილისის № 1 და № 7 სამკერვალო ფაბრიკები, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი და სხვ.

სულ გამოკვლეულ იქნა 16.735 ქალის შრომის პირობები. გაწეული მუშაობის შედეგად, რესპუბლიკაში შესამჩნევად გაუჯობესდა ქალთა სამედიცინო მომსახურება.

მაგრამ ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამშობიაროო სახლებისა და კონსულტაციების ინვენტარით მომარაგების, შესაფერი შენობებით უზრუნველყოფისა და მათი დროულად შეკეთების საქმე. ზოგი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები სათანადო მზრუნველობასა და ყურადღებას არ იჩენენ ქალთა შრომის პირობების გასაუჯობესებლად.

ზოგ რაიონში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები კონკრეტულად არ სწავლობენ ქალთა სამედიცინო მომსახურების საკითხებს, იშვიათად განიხილავენ ამ საკითხებს თავიანთ სხდომებზე.

ეს საკითხი კომისიამ შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად, რომელმაც მიღო სათანადო დადგენილება, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში ქალთა სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

ჩვენს ქვეყანაში ყურადღება და მზრუნველობა არ აკლიათ ინვალიდებს, მოხუცებს.

გასულ წლებთან შედარებით ჩვენს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა ინვალიდთა შორის. მოზარდ ინვალიდებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისათვის (სახალქალაქის ქალთა და ბავშვთა ინვალიდთა სახლები). ინვალიდთა გარკვეული კონტინგენტი, ექიმის დასკვნის მიხედვით, ჩაბმულია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში— დამზარე მეურნეობებში, სახელოსნოებში და სხვ.

ინვალიდთა სახლებში სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მათს საექიმო მომსახურებაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. არ სრულდება რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების და ადგილობრივი საბჭოთა ინვალიდების ინტერნატის, ნეფროლოგიის, ენდოკრინოლოგიის, ფსიქიატრიის, ფეხმძიმეობის, ნეიროპათოლოგიის, სტომატოლოგიის და სხვათა შემადგენლობით.

რაიონში მივლინებული ბრიგადის წევრები, სპეციალობის მიხედვით, ეწყობიან ამ რაიონში არსებული სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის საქმეს, ეღებენ ავადმყოფებს და კონსულტაციას უწევენ საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში, სოფლის საექიმო უბნებში, მძიმე ავადმყოფებს ბინებში; აკეთებენ რთულ ოპერაციებს, მოსახლეობაში აწარმოებენ პოპულარულ ლექციებს და აწყობენ კითხვა-პასუხის საღამოებს მედიცინის აქტუალურ საკითხებზე, ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან ადგილობრივ ექიმებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

სპეციალიზებული ბრიგადები რაიონებში მიეგზავნიან წელიწადში სულ ცოტა ორჯერ, ხოლო სხვა შემთხვევაში საჭიროების მიხედვით.

ამ საქმის ორგანიზაციას შემდგომშიც დიდ ყურადღებას მივაქცევთ.

სიამოვნების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები, რომლებსაც კი ეხებოდა განხილული საკითხები, დიდი ინტერესითა და საქმის ცოდნით ეხმაურებოდნენ კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებას და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

კომისიამ სასარგებლო მუშაობა გასწია ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის აქტუალური საკითხების შესწავლის დარგში. მაგრამ მისი მუშაობის ნაკლოვანების არის, რომ ჯერ კიდევ არ არის დაწესებული მტკიცე და თანმიმდევრული კონტროლი მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი.

ჩვენი მუშაობის ნაკლია ისიც, რომ არადამაკმაყოფილებლად ხორცელდება კონტაქტი ადგილობრივ საბჭოებთან არსებულ ანალოგიურ კომისიებთან.

ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუდმივი კომისია მომავალშიც გეგმიანად წარმართავს თავის მუშაობას რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (ტაში).

იბეჭდება შემოკლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის

დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის საანგარიშო მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ამ პლენუმმა მოიწონა, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა ხალხმა, ეს გადაწყვეტილებანი ნაკარნახევია პრაქტიკული ცხოვრებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მეუნელეველი აღმავლობის იხტიერესებით, ზოგადვი მშრომელთა კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის.

პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული. მაგრამ, როგორც თქვენ ნთვის ცნობილია, იმ სერიოზული ხარვეზების შედეგად, რომლებიც სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში იყო, რაც გამოვლინდა ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმებზე, სერიოზული ხარვეზები გვაქვს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, როგორც დღეს ანგარიშს ამბობს უმაღლეს საბჭოს, თვალ თავის საქმიანობას წარმართავდა კოლეგიურობებისა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროფილაქტიკის წარმოების საკითხი ღონისძიებებს გაეცალა ადგილობრივ ორგანოებს, ეს ფორმალურ ხასიათს ატარებს და, ცხადია, შედეგიც არასაბარბიელია.

ახალქალაქის რაიონის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წინა წლებში მეტნაკლებად იყენებდნენ მარდოვნასს, ფენტიანინის მარილოვან აგეროკებს და შედეგიც კარგი ჰქონდათ. მაგრამ 1963 წლის ზამთრის და 1964 წლის გაზაფხულის პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ოთოქმის არ მიეღიათ არავითარი ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატი. სწორედ ეს არის ამ რაიონში მეცხოველეობის დაბალ პროდუქტიულობის ძირითადი მიზეზი.

შედარებით უკეთესად მუშაობენ დუშეთის საწარმოო სამმართველოს მეცხოველეები, მაგრამ ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენების საქმეში მათაც მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი აქვთ.

კომისიამ იმსჯელა ამ საკითხებზე და სათანადო ღონისძიებათა დასახვით რჩევა მისცა საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაეუმჯობესონ მუშაობა ამ მიმართულებით.

სასოფლო-სამეურნეო მეცნარეების მავნებელები და დაავადებანი ყოველწლიურად დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას. მავნებელთა და ავადმყოფობათა მასობრივად გავრცელებას უშინაარეს ყოველსა ხელს უწყობს აგროტექნიკურ ღონისძიებათა ვადების დარღვევა ან შეუსრულებლობა. ხშირად მაკნებელებისა და ავადმყოფობათა კერების მასობრივად გამოვლენას ისიც იწვევს, რომ მეურნეობებში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას პროგნოზისა და სიგნალიზაციის პუნქტების მუშაობა, მეურნეობები სათანადო რაოდენობით არ აქვიან უზრუნველყოფილნი ხმამეჩიკატებით, შესაბამისი აპარატებით და სათადარიგო ნაწილებით, ხოლო რაც აქვთ, სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ისიც მწყობრიდან არის გამოსული.

წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში საკმაოდ დიდია — 31 პროცენტს უდრის. სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1964 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა მცენარეთა დაცვის ღარგში ითვალისწინებდა მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას, მაგრამ როგორც გამოკვლეულ მასალებიდან ჩანს, გათვალისწინებულ ღონისძიებათა კომპლექსი ან მთლიანად არ არის განხორციელებული ან შესრულებულია ვადების დარღვევით დაბალ აგროტექნიკურ დონეზე.

ხეხილისა და ვაზის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი შედარებით უკეთ არის ორგანიზებული ბოლოს რაიონში, მაგრამ შემოწმებამ ამ რაიონის კოლმეურნეობებშიც გამოავლინა ნაკლოვანებანი.

მეტნაკლებად ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც. მეურნეობებში შესასწავლი და შესაფარჭვევი ობიექტებით, საჭირო სათადარიგო ნაწილებით, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არა აქვს მცენარეთა დაცვის სპეციალისტები, სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული პროგნოზისა და სიგნალიზაციის სამსახური, სრულიად არ იყენებენ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდს. ხოლო რაიონული საბჭოები, ჩვენი სოფლის მეურნეობის კომისიები ადგილებზე ნაკლებად უწევენ კონტროლს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

მეცხოველობის, მეფრინველეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია რესპუბლიკის შეცხოველებსა და მეფრინველეებს ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც პრაქტიკულად, ისე რჩევა-დარიგების მიცემით. 1964 წელს ინსტიტუტმა დაამუშავა და გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოაქვეყნა მეხილეობაში მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებანი, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა წარმოების მუშაკებს შორის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ იმსჯელა რესპუბლიკის რაიონებში შექმნილ მდგომარეობაზე და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი ღონისძიებათა სახით, რომელთა განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის უკეთ წარმართვას.

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა ავრეთვე მეხილეობის განვითარების მდგომარეობა მებაღეობის სამი ძირითადი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — გორში, სამხრეთ ოსეთსა და ახალციხეში, მევენახეობის განვითარების მდგომარეობა — თელავის, გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კომისიის მუშაობამ ნათელყო, რომ ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავება ყველგან ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე და მის შედეგად დაბალია მათი მოსავლიანობა.

ხეხილის ბაღების მოვლა უკანასკნელ წლებში შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობა ნაკლოვანებანი ამ საქმეში, განსაკუთრებით ცუდად სრულდება ბაღების გაშენების გეგმები. 1964 წელს ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა მებაღეობის რაიონებს სანაბეჭროდაც არ ჰქონდათ შესრულებული. მარტო 1964 წელს უნდა გაშენებულიყო 930 ჰექტარი ბაღი, ფაქტიურად გაშენდა 98 ჰექტარი, ბევრი ნაკლი გამოვლინდა მევენახეობის განვითარების საქმეში. გურჯაანის, თელავისა და ზესტაფონის რაიონებში 1964 წელს გეგმით 2.818 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გაშენებულიყო, ფაქტიურად გაშენდა 1.985 ჰექტარი. ამრიგად, გეგმის შესრულებას 833 ჰექტარი დააკლდა. ვენახის გაშენებაში განსაკუთრებით ჩამორჩენენ გურჯაანის და თელავის რაიონები.

მეტად არასასურველი მდგომარეობაა ამ რაიონებში ნაყენის წარმოების მხრივაც. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალიან ცუდად უკლიან ფილოქსერიგამძლე ვაზის საფეიქვებს. ეს იქიდან ჩანს, რომ ლერწის საშუალო გამოსავალი ჰექტარზე 1964 წელს გურჯაანის რაიონში 5-7 ათასს უდრიდა. ლერწის ასეთი დაბალი გამოსავლიანობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საფიქვები ბატოვებულია ბედის ანაბრად — მეჩხერია, სასუქები არ შეაქვთ, ყლორტების დანორმვას, ნიადაგის ღრმად დამუშავებას არ აწარმოებენ, მათი ტესტობა გადაყვანილი არ არის შპალურზე.

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ შემოწმების შედეგების საფუძველზე ამ რაიონების რაისაბჭოს აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველებს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცა რჩევა და მითითება აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელზეც კომისიას სულ რაადეილიე ღღის ყინ აკონდა მსჯელობა. საკითხი ეხება საქართველოში ბუღეების დაცვის მდგომარეობას.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, საქართველოს ბუნების დაცვის, ძოველისა და ეფექტურად გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ აღმოფაჩრილი არ არის სეთოოზული ხაკლოვანებები. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ასეულ ათასობით ჰექტარი ტყეა, ოთმლის საერთო მდგომაოეობა უსისტემო და ხშირ შემთხვევაში მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად ითადამაკაყოფილებელ მდგომაოეობაშია. ქართლში, კახეთში ბევრია ისეთი მასივები, რომლეთიც ახლო ხარსულში პირწმინდად ჩაჩეხის გამო გადაოეცხილ, დახრამულ და დეგრადიოებულ, გაძოუკეოებელ ფაოოოებად არის გადაქცეული.

1964 წელს სამხრეთ ოსეთის 11 კოლმეურნეობაში მოკრეულ იქნა 1621 კუბეური ძეტრი ხე-ტყე. ტყის უბებართეოდ გაჩეხის ბევრი ფეძთხვევა ლენინგოროისა და ჯავის კოლმეურნეობებში. აფხაზეთის სოფელ ქლოუეის კოლმეურნეობის გამგეთ ალ სულიდან უსაფუძვლოდ ხეხა დართო კოლმეურნეებს ოოეკოოთ ძვირფასი მეოქეიანი ჯიეების — წაბლისა და ძუხის ხეები. გასსაკუთრებით ითადამაკაყოფილებელი მდგომარეობაა საკოლმეუონეო ტყეებში ადდგენითი სამეურეოების დაპოოეკტეთისა და ძათი პროდუქტიულობის ამაღლების ძხრივ.

სეროზული ნაკლოვანებებია სასარგებლო ფაუნის მოძოოვლება-დაცვის საქმეში, ჯერ კიდევ აღმოფაჩრილი არ არის ბრაკონიეოოოა. 1964 წელს ამბოოში გამოვლინდა ხადირობის წესებია დარღვევა 37 ბემთხვევა, აფხაზეთში 1964 წელს აღრიცხულია ფოაკოიაერობის 80 ბეეთხვევა: სასარგებლო ფაუნის მოძოოვლებისა და ოოგანიზებიეული ხადირობის უზოოოვნელყოფისათვის ხოგ რაიონში წინასწარ ბედგენილი არ არის ხადირობის გეგმები, ითადამაკაყოფილებელ დონეზეა ფაოიხეფაელთა და ცხოველთა ალრიცხვა, ძათი ძოძოვლეთა ეოოლეთული წესი; ჯერ კიდევ შედგენილი არ არის სამხრდირეო ბეეურნეოეების ერთიანი რესპუბლიკური გეგმა.

აქამდე არ არის აღმოფხვრილი თევზის დაეშვეული საშუალებებით მოპოვების ბემთხვევები. არის შემთხვევები, ოოცა თევზის საკეოად იყენებენ ქიმიური მომწამლელ და ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ მეიღწევა ოეგიონალურ ოესპუბლიკის რაიონებში, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ ოესპუბლიკეებში ბუნების დაცვის მდგომარეობა, და ამის საფუძველზე პრეზიდიუმს წარუდგინა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც მომავალში უზრუველყოფს ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საკითხის შესწავლა და ღონისძიებების დაეშვებაება ერთი საქმეა, ხოლო შესრულება მეორე. როგორ სოფლდება კომისიის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი? მართალია, ჩვენ ბოგვდის ინფორმაციები საათანადო ორგანიზაციებისაგან, რაიონული საბჭოებისაგან, მაგრამ მომავალში კომისიამ კონკრეტულად უნდა დაინტერესდეს, თუ როგორ სრულდება მიღებული დადგენილებანი, და მარტო ინფორმაციებით არ დაკმაყოფილდეს, ერთი სიტყვით, საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი. ცუდი არ იქნება, თუ ამ საქმეში დახმარებას გაგვიწევენ პარტიული და სახელმწიფო კონტროლის კომისიაც და ზოგჯერ მაინც შეამოწმებს, როგორ სრულდება არა მარტო სოფლის მეურნეობის კომისიის, არამედ საერთოდ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის დადგენილებანი (ტაში).

იბეჭდება შემოკლებით.

ქამეთი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების საანგარიშო მოხსენებების გამო

დეპუტატ ვ. ჯანჯღავას

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია დიდ მუშაობას ეწევა.

ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუჯობესებისათვის. ყოველწლიურად ფართოვდება და იზრდება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. სულ უფრო მეტი თანმა იხარჯება იმისათვის, რომ ეს დაწესებულებანი აღიჭურვონ თანამედროვე დამაადგარებით, აპარატურით, ლაბორატორიებით, ინვენტარით. მაგალითად, ამ უკანასკნელ წლებში რაიონში აშენდა და მწყობრში ჩადგა 410-საწოლიანი კლინიკური საავადმყოფო, 100-საწოლიანი ტუბსაავადმყოფო, ორი პოლიკლინიკა და სხვა.

სამედიცინო პერსონალის დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ემსახურება შრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. მაგრამ, აღნიშნავს ორატორი, ნაკლოვანებები ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია.

ფაბრიკა-ქარხნების საექიმო პუნქტების სასაამქრო პრინციპზე გადაყვანა ხაჩქარევი იყო. ეს არ იყო აუცილებლობით ნაკარნახევი და მომსახურების გაუჯობესების თვალსაზრისით არავითარი დადებითი შედეგი არ გამოუღია. დეპუტატი თხოვს სესიას გადაისინჯოს ეს საკითხი.

დეპუტატი აყენებს აგრეთვე საკითხს მუდმივი კომისიების ამჟამად მოქმედი დებულებების გადასინჯვისა და მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.

დეპუტატ უ. ძუჩუბერიას

სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში გასწია გარკვეული მუშაობა.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები, რომლებშიც დასახულია კოოპერატიული ამოცანები საკოლმეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის. ოჩამშრალი ოაიონის მშრომელები ნინა წლებში არსებულ ნაკლოვანებებს, თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ უკვე მიმდინარე წლის შუქნან პროდუქტების სიუხვე.

იბეჭდება შემოკლებით.

დეპუტატი ეხება ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის სოფლის მეურნეობაში. შრომის ბაყოფიერების გადიდებასა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელური მუშაობისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეურნეობათა სწორ სპეციალიზაციას. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. პარტიამ დასახა ამოცანა მიეღწიოთ სამნაწილანი-სატრაქტორო პარკის ექსპლოატაციის მაღალ მწარმოებლობას. მაგრამ, მოდით, გადავხედოთ კოხერეტულად საკითხს: გახა ყოველთვის დამნიშავენი არიან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები და მექანიზატორები იმაში, რომ უკეთესად ვერ იყენებენ ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას? რა თქმა უნდა, არა. როგორც წესი, „სოფლტექნიკის" განყოფილებებს ტრაქტორებისათვის შემოაქვთ მხოლოდ გუთნები. ნიადაგის დასამუშავებელ, სათესი და ასაღები მანქანები და მისაბმელები ან თითქმის სრულიად არ გაგვაჩნია ანდა გვაქვს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით.

დეპუტატ ლ. ხარძიანის

სიტყვა

მესტიის რაიონი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში რესპუბლიკის მოწინავე რაიონთა შორისაა.

რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 32 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, საგრძნობლად გაიზარდა საავადმყოფოთა გამტარუნარიანობა, გაუჯობესდა მათი სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობა. რაიონში ამჟამად მუშაობს 26 ექიმი და 170 საშუალო სამედიცინო მუშაკი მიმდინარე. წელს სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული 9 ექიმი, ადგილობრივი კადრი, მიეფატება კიდევ რაიონის სამედიცინო კოლექტივს.

გარკვეულ წარმატებებთან ერთად გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში, კერძოდ, რაიონის ბევრ სოფელს არ აქვს საკუთარი სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულებები და მოსახლეობა იძულებულია ისარგებლოს რაიონის ცენტრის ან მეზობელი სოფლის სამედიცინო დაწესებულებებით. ზამთრობით კი ამის საშუალებაც არ არის, რადგან ბევრი სოფელი ერთმანეთს მოწყვეტილია, რაიონის საავადმყოფო და რვასაწოლიანი სამშობიარო განყოფილება ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. საჭიროა გაიხსნას ახალი ოცსაწოლიანი სამშობიარო სახლი. საჭიროა მოგვარდეს სამედიცინო დაწესებულებათა ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი.

დეპუტატ დ. მამისაშვილის

სიტყვა

ვლადისლავლი კოლმეურნეები თავდადებული შრომით გამოვსმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანებს.

ვლადისლავლის კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა მევენახეობა. უკანასკნელ წლებში ბევრად ამაღლდა მეკვნინეობის დონე. მაგრამ ნაკლებად არის გამოყენებული ტექნიკა ყველაზე რთულ და პასუხსაგებ სამუშაოში — ვენახების შეწამვლაში. კოლეეურნეობა განიცდის ტრაქტორების ნაკლებობას.

ორატორი ეხება სტეფანწმინდის ბრძოლის ღონისძიებებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისათვის, რომ საბოლოოდ დავლეოოთ სტეფანწმინდის ბრძოლა.

კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებაში დიდ როლს შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

კოლმეურნეობის ძლავრი ეკონომიკა სახეს უცვლის სოფელ ვლადისლავლს. უცხო მნახველს იგი ქალაქი ეგონება. აქ იშვიათად შეხვდებით ძველ სახლებს. გზები მოასფალტებულია, სოფელში ფართოდ არის გაშლილი მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით ააშენა 880 მოსწავლისათვის საშუალო სკოლის შენობა, ადმინისტრაციული სახლი, მოიხრეშა და გალამაზდა საუბნო გზები. ამჟამად დასასრულს უახლოვდება წყალსადენის მშენებლობა, რაზეც კოლმეურნეობა მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს. სოფელს აქვს სამი ბიბლიოთე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამავალა მოგახსენოთ იმ ბრძანებულებათა და დადგენილების შესახებ, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის მეოთხე სესიის შემდეგ და რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად უნდა განიხილოს და დამტკიცოს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 5 ივნისის ბრძანებულებით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონი.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭირო იქნება შეტანილ იქნას სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 22-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შედგება: ზნაურის, ლენინგორის, ცხინვალის, ჯავის რაიონებისაგან და ქალაქ ცხინვალისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პარეული პროდუქტების მთავარი სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოდ.

საჭირო იქნება უმაღლესმა საბჭომ მიიღოს კანონი ამ ბრძანებულების დამტკიცების შესახებ და სათანადო ცვლილება შეიტანოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობა. ამ მუხლს, სიტყვების: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანა-ნაგრეგატების ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე“ შემდეგ უნდა დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი“.

1965 წლის 1 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო გარდაიქმნა საკავშირო-რესპუბლიკურ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55-ე მუხლში სიტყვები: „სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისა“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „სოფლის მეურნეობისა“.

1964 წლის 29 დეკემბერს მიღებულ იქნა ბრძანებულება „მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ და „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებანი ცვლილებათა შეტანის თაობაზე“.

ამ ბრძანებულებების მიღების შედეგად გაუქმებულია ადრე დაწესებული პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ზღვრული ნორმები, რომლებიც დადად ზღუდავდნენ სოფლად მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას პირუტყვზე. გარდა ამისა, ზოგიერთ ქალაქსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეებს პროდუქტიული პირუტყვის ყოლის ნება ეაერთოთ.

ახლა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, გარდა კოლმეურნეებისა (იმ ადგილებში, სადაც აკრძალული არ არის პირუტყვის ყოლა), ყოველ ოჯახს შეუძლია იყოლიოს პირუტყვი პირად საკუთრებაში.

ერთი ძროხა (ფურა-მეჩი), ერთი სული მოზარდი, მიმდინარე წლის ნამატის ჩაუთვლელად, ერთი ნეზი ნამატით ან ერთი ღორი გასასქესებლად და ერთ წელზე უხნესი სამი სული ცხვარი და ოხა ნამატით, ხოლო თუ ძროხა ან ღორი არა ჰყავთ, — ერთ წელზე უხნესი ხუთი ცხვარი და ოხა ნამატით.

უფლება მიეცათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ცალკეულ შემთხვევებში ნება დართონ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს იყოლიონ აგრეთვე ერთი ცხენი პირადი მეურნეობის საჭიროებისათვის.

კოლმეურნეობებს ბაზაზე შექმნილი საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს შეუნარჩუნდათ პირუტყვის ის ნორმა, რომელიც მათთვის იყო დადგენილი ამ კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნამდე.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მატერიალური პასუხისმგებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებით დაადგინა გაფართოვდეს ამხანაგური სასამართლოების უფლებამოსილება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეთა განხილვის სფეროში.

ამ ბრძანებულებით დადგინდა, რომ ამხანაგური სასამართლოები დამნაშავე პირებს დააჯარიმებენ 30 მანეთამდე, ხოლო გამეორების შემთხვევაში — 50 მანეთამდე. მათვე შეუძლიათ დამნაშავეს დააკისრონ არაკანონზომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებაში დამნაშავე პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ქონების ღირებულების სამმაგი ოდენობით. ამხანაგური სასამართლოები ამ ღონისძიებას გამოიყენებენ ამ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია პირველად და მცირე ოდენობით, აგრეთვე თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით აუცილებელი არ არის მის მიმართ გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის სასჯელი.

ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ ამხანაგურ სასამართლოში არ განიხილება საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკვე ორჯერ იყვნენ გასამართლებული ამხანაგური სასამართლოს მიერ წვრილმანი დატაცებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 28 აპრილს მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე, 273-ე და 275-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლი არ ითვალისწინებდა სასჯელს შეგანსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის ოვითნებური წასვლისათვის ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან, აგრეთვე მისი ვადაზე გამოუცხადებლობისათვის სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე, ნაწილიდან დათხოვნის, დანიშვნის, გადაყვანის დროს, მოქალინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან ერთ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით, მაგრამ არაუმეტეს სამი დღე-ღამისა ან ოუხდაც ერთ დღეღამეზე ნაკლები ხანგრძლივობით, მაგრამ ჩადენილი განმეორებით სამი თვის განმავლობაში. ახლა ასეთი დანაშაული, —

ისჯება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების მიხედვით.

273-ე მუხლის „ა“, „ვ“ და „დ“ პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

საყარაულო (სავახტო) სამსახურის საწესდებო წესების და ამ წესების გასავითარებლად გამოცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა დარღვევა, რომელიც ჩადენილია საბრძოლო მასალების, იარაღის, საბრძოლო ტექნიკის საწყობების ან სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ყარაულში და საგუშაგოებზე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან სამ წლამდე.

სადარაჯო ან სამადრაგო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მავნე შედეგები, რომელთა თავიდან ასაცილებლად დახშულია სადარაჯო ყარაული (საგუშაგო) ან ბადრაგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ან დისციპლინურ ბატალიონში გაგზავნით ვადით სამი თვიდან ორ წლამდე;

აღნიშნული ქმედება, ჩადენილი ომის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 275. საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა სსრ კავშირის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის დასაცავად. ან საბჭოთა კავშირზე მოფლოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად დაცვის საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც შედის საბრძოლო ჯგუფელის ეკიპაჟის, საგუშაგოს ან სხვა სამორიგეო ქვეგანაყოფის შემადგენლობის სამორიგეო ცვლაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე“.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ქალაქის მეურნეობის თავისებურების შესაბამისად შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა განყოფილებები [illegible] და სამმართველოები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გათვალისწინა ეუთანისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თხოვნა იმის შესახებ, რომ საქალაქო საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და მრავალრიცხოვანი თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა საჭიროებს გაუმჯობესებას და ამ მიზნით 1965 წლის 1 მარტის ბრძანებულებით შექმნა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება.

ბოლო ხანს, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს სხვადასხვა უწყებებიდან გამგებლობაში გადაეცა სამანაო მშენებლობა. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ ჩათვალა შეექმნა რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბიუროცხვინა და გახაზოლების განყოფილება, რაც გაფორმდა 1965 წლის 17 მარტის ბრძანებულებით.

ამხანაგო დეპუტატებო! ეს ბრძანებულებებიც შემომაქვს თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხვადასხვა დროს დანიშნა და გაათავისუფლა საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრი:

1965 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. ოთარ ვასილის-ძე თაქთაქიშვილი დაინიშნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად;

1965 წლის 1 მარტის ბრძანებულებით ამხ. მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჯილია დაინიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 17 მარტის ბრძანებულებით ამხ. ვახტანგ დავითის-ძე კუტალია დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ;

[illegible] ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრეს-ძე ბოლოვინი [illegible] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის [illegible] ბოლოვინის [illegible] ბრძანებულებით ამხ. ალექსანდრეს-ძე ბოლოვინი